



საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს კერძო სამართლის იურიდიული პირი -, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში“ (შემდგომში უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესსა და პირობებს.

1.2. სასწავლო უნივერსიტეტის სახის შესაბამისად უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) პროგრამებს, ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამას განახორციელებს საქართველოში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის საფუძველზე.

1.3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;

1.4. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 120 ECTS კრედიტს, მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის/ მკვლევარის მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, სამაგისტრო პროგრამა ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

1.5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობაა და მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას. პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

1.6. ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს 300 ECTS კრედიტს (სტომატოლოგია) და 360 ECTS კრედიტს (სამკურნალო საქმე)

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურზე

2.1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) წარმოადგენს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.

2.2. საგანმანათლებლო პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატი (შემდგომში სენატი), სკოლის საბჭოს წარდგინებით.

2.3. საგანმანათლებლო პროგრამის თავფურცელზე უნდა მიეთითოს:

- ✓ თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (ქართულად და ინგლისურად);
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური;

✓ პროგრამის განხილვისა და დამტკიცების შესახებ აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის შესაბამისი დადგენილების რეკვიზიტები.

2.4. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: :

- ა) პროგრამის სახელწოდება;
- ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური განათლების საფეხური;
- გ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- დ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
- ე) სწავლების ენა;
- ვ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- ზ) პროგრამის ხელმძღვანელი;
- თ) სფეროს აღწერა/პროგრამის აქტუალობა/შესაბამისობა მისიასთან;
- ი) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
- კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- ლ) სწავლის შედეგი;
- მ) დასაქმების სფერო;
- ნ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- ო) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
- პ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
- ჟ) პროგრამის განხორციელების რესურსები (ადამიანური და მატერიალური);
- რ) პროგრამის მიზნების და შედეგების რუქა;
- ს) პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების/მოდულების შედეგების რუქა;
- ტ) პროგრამის შემუშავებლები არ იზღუდებიან ჰქონდეთ დამატებითი ან მოდიფიცირებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის თავისებურების და/ან პროგრამის ტიპის შესაბამისად

2.5. პროგრამას თან უნდა ახლდეს სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

2.6. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით.

2.7. პროგრამების შედეგების აღწერისას გამოიყენება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი ჩამოყალიბებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები:

- ა) ცოდნა და გაცნობიერება;
- ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გ) დასკვნის გაკეთების უნარი;
- დ) კომუნიკაციის უნარი;
- ე) სწავლის უნარი;
- ვ) ღირებულებები;

2.8. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება.

2.8.1. კომპონენტის მითითებისას აღინიშნება:

- ა) სახელწოდება;
- ბ) სასწავლო კურსის/მოდულის სტატუსი;
- გ) ავტორი და/ან განმახორციელებელი (თუ ავტორი და განმახორციელებელი ერთი და იგივე პირია შესაძლებელია მიეთითოს ერთ-ერთი) ;
- დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად;
- ე) სასწავლო კურსის/ მოდულის მიზნები;
- ვ) დაშვების წინაპირობები;
- ზ) სწავლებისა და სწავლის მეთოდები;

თ) შეფასების კრიტერიუმები;

ი) შინაარსი;

კ) ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;

ლ) სწავლი შედეგები.

2.9. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის ჯამი აღემატება არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.

2.10. საგანმანათლებლო პროგრამას დართული აქვს სწავლის შედეგების რუქა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.

2.11. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) იქმნება შესაბამისი სასწავლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის სილაბუსში მიეთითება:

ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;

ბ) ავტორი და/ან განმახორციელებელი (თუ ავტორი და განმახორციელებელი ერთი და იგივე პირია შესაძლებელია მიეთითოს ერთ ერთი) ;

გ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები;

დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად

ე) დაშვების წინაპირობები;

ვ) სწავლის შედეგები;

ზ) შინაარსი;

თ) სწავლების/სწავლის მეთოდები;

ი) შეფასების კრიტერიუმები;

კ) ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;

ლ) სწავლის შედეგების და შეფასების რუქა.

2.12. სასწავლო კურსის ავტორი და/ან განმახორციელებელი არ იზღუდება სილაბუსში განათავსოს დამატებითი ინფორმაცია

2.13. უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა:

2.13.1 ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს „საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების“ შესწავლას 15 (ECTS) კრედიტის მოცულობით, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ფიქსირდებოდეს განსხვავებული მოდელი.

2.13.2. ყველა საბაკალავრო პროგრამა (გარდა გამონაკლისებისა) ითვალისწინებს „უცხო/ინგლისური ენის კომპონენტს“, რომლის მოცულობა განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

2.13.3. საბაკალავრო პროგრამაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების სწავლება;

2.13.4 საბაკალავრო პროგრამაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს თავისუფალი კომპონენტები/ დამატებითი (მაინორი) სპეციალობა და სხვა.

2.14. უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა:

2.14.1 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სამაგისტრო ნაშრომს.

2.15. უნივერსიტეტის რეგულირებადი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა:

2.15.1. რეგულირებადი საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის. საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას;

2.16. **ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა** შესაძლებელია მოიცავდეს საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს, თავისუფალ კომპონენტს და სხვა, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

2.17. საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება განახლებას. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებ(ებ)ის შეტანა (მოდიფიცირება) შესაძლებელია მხოლოდ სენატის გადაწყვეტილებით, სკოლის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

3.1 პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ: შიდა დაინტერესებული მხარე - დარგის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული პერსონალი და სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები - დამსაქმებლები (ორგანიზაციები), კურსდამთავრებულები (არსებობის შემთხვევაში) და პროფესიული ორგანიზაციები. თითოეულ მხარეს შეაქვს თავისი წვლილი იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა გზით უნდა იყოს მიღწეული ისინი.

3.2 თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნიკალურია და დაფუძნებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული მხარეების დასკვნებზე და გადაწყვეტილებებზე. შემუშავებისას სახელმძღვანელო დოკუმენტებია: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, დარგობრივი სტანდარტი (არსებობის შემთხვევაში) (www.eqe.ge), თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი სენატის 2018 წლის 22 იანვრის #77 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებული ინსტრუქციები და პროგრამების/კურსების წარდგენის ფორმები და სხვა.

3.3 შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა გადის ექსპერტიზას (შესაბამისობის დადგენა კანონმდებლობასთან და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებთან) ხარისხის მართვის და სტრატეგიული განვითარების სამსახურში. სამსახურის მიერ შემოწმებულ საგანმანათლებლო პროგრამას დეკანი წარუდგენს განსახილველად სკოლის საბჭოს, რომლის წარდგინებით პროგრამას განიხილავს და ამტკიცებს სენატი.

3.4. პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან, სკოლის მისიასთან და უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, შრომის ბაზრის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლის და სხვა მხარეების) მოთხოვნებს. პროგრამაში შემავალი სხვადასხვა ასპექტი უნდა აღიწეროს მკაფიო, გასაგები ენით.

3.5 პროცედურა: საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული-სკოლა, რომელიც ასევე შეიმუშავებს მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში შესატან ცვლილებებს და ახდენს პროგრამების მოდიფიცირებას;

3.5.1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის ინიცირება შეუძლია როგორც მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტს/რექტორს, ასევე სენატს. რომელიც პირველ შემთხვევაში ბრძანებით, მეორე შემთხვევაში სენატის დადგენილებით შესაბამისი სკოლის ბაზაზე, ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომლის კოორდინაცია ევალება ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსს.

3.5.2. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი/პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ორგანიზებას უკეთებს პროგრამის შემუშავების პროცესს, უზრუნველყოფს აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას პროგრამის შემუშავების პროცესში და პროგრამის პროექტს წარუდგენს განსახილველად სკოლის საბჭოს.

3.5.3 სკოლის საბჭოს მიერ განხილული საგანმანათლებლო პროგრამის/ პროგრამის ცვლილებების პროექტი საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) და სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) შესწავლის და საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით იგზავნება ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურში.

3.5.4. ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური ამზადებს საექსპერტო დასკვნას პროგრამის შესახებ და განსახილველად უბრუნებს სკოლის საბჭოს. დასკვნის წარდგენისა და დასკვნაში მითითებული გარემოებების დასაბუთების მიზნით, სკოლის საბჭოს სხდომას შეიძლება დაესწროს ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი (სათათბირო ხმის უფლებით).

3.5.5. ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სკოლის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამა წარუდგინოს აკადემიურ და წარმომადგენლობით სენატს, ხოლო დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების/შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, საბჭო განიხილავს ამ შენიშვნების გათვალისწინების საჭიროებას - ხდება მათი გამოსწორება ან გათვალისწინების გარეშე, შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით, სენატისათვის გადაცემა.

3.5.6. სკოლის საბჭოს და ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის რადიკალურად განსხვავებული ხედვის შემთხვევაში სენატი შეისწავლის ორივე მხარის არგუმენტებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

3.5.7. სენატი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის ცვლილებების განხილვის შემდეგ ამტკიცებს წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს, ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე;

3.6. საგანმანათლებლო პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ცვლილების შეტანა ხდება წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 4. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები

4.1. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - "პროგრამა") და ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნივერსიტეტის პროფესორთა შემადგენლობიდან, ან იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მოწვეული პერსონალი.

4.2. პროგრამის ხელმძღვანელი წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურის დაცვით უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების, განხორციელების, განვითარება/განახლების და შეფასების პროცესებს; ზრუნავს სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის; ახორციელებს სტუდენტების დახმარებას/ინფორმირებას საგანმანათლებლო პროგრამასთან, პროგრამის სპეციფიკასთან, პროგრამის სასწავლო კურსებთან/კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ.

4.3 პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელიც, რომელიც ასევე აკმაყოფილებს პროგრამის ხელმძღვანელისათვის დადგენილ მოთხოვნებს და ეხმარება ხელმძღვანელს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში .

4.4 . სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც უჭირავს პროფესორის აკადემიური თანამდებობა უნივერსიტეტში. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, სტუდენტები (არსებობის შერმთხვევაში) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას;

4.4.1. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი არის სკოლის საბჭოსა და უნივერსიტეტის ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურთან ძირითადი საკონტაქტო პირი, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

4.4.2. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: სტუდენტების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციის გაწევა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობა სადოქტორო სემინარში, პროგრამის მონაწილე დოქტორანტების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი და სხვ. პროფესორი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.

4.5. პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის მინიჭება და პროგრამის სტრუქტურის დამტკიცება ხდება სენატის დადგენილებით, სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად.

4.6. სენატი უფლებამოსილია შეაფასოს პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში და გაწეული საქმიანობის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში შეუწყვიტოს მას ხელმძღვანელის/თანამხელმძღვანელის სტატუსი.

4.7. პროგრამის ხელმძღვანელის/ თანამხელმძღვანელს მიმართ დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა;

გ) 5 წლიანი კლინიკური გამოცდილება (მედიცინის პროგრამებისთვის) ;

დ) ინგლისური ენის კარგად ცოდნა. (ინგლისურენოვანი პროგრამისათვის);

4.8. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი - პროფესორები, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, ასისტენტები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი; სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები:

5.1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები ხელმძღვანელობენ წინამდებარე წესით და პროგრამის შემუშავების მომენტისთვის უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტებით.